

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
მორიგი სხდომის**

ოქმი #2

თარიღი: 18 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 16:00 საათი

ადგილი: დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი; მის: ჭავჭავაძის ქ. N14

თავმჯდომარე: გრიგოლ მახარაძე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

მდივანი: თამარ ღლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი.

ესწრებოდნენ: საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენელი ირაკლი პაპავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი თამაზ ტრაპაიძე, ოზურგეთის ღვაწლმოსილი მოქალაქე კოტე შავიშვილი, კერძო ბიზნესის წარმომადგენელი ალექსანდრე ტულუში, ვლადიმერ ხავთასი - მოქალაქე, მეწარმე ია ურუშაძე, მეწარმე ლალი ჩანქსელიანი, პედაგოგი ხათუნა თოიძე, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ზვიად ერაძე, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი თამარ ღლონტი(მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი), მეწარმე ოლეგ გობრონიძე. სხდომას ასევე ესწრებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკითხით დაინტერესებული პირი ირმა გორდელაძე, სამოქალაქო აქტივისტი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

სხდომას მიესალმა თავმჯდომარე გრიგოლ მახარაძე და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების უშუალო განხილვის დაწყებამდე საბჭოს წევრებთან ერთად განიხილა სხვადასხვა საორგანიზაციო და საბჭოს შიდა კომუნიკაციის საკითხები.

დღის წესრიგი:

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო სამი საკითხი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინერტული მასალის კარიერული წესით მოპოვების საკითხის განხილვა
2. ოზურგეთი-გენიჩესკის ურთიერთობის აღდგენა და „ალეგროს“ დღესასწაულზე

უკრაინული დელეგაციის ვიზიტი ოზურგეთში

3. ქალაქის სივრცითი მოწყობის დოკუმენტის, ე.წ. გენგეგმის საჭიროების საკითხის

განხილვა

გამომდინარე იქედან რომ მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე იმყოფებოდა მოქალაქეებთან შეხვედრაზე და ამ საპატიო მიზეზის გამო თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ სხდომას მოგვიანებით შემოუერთდებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობა შეიცვალა და დღის წესრიგში პირველ ადგილზე რიგით მეორე საკითხმა ამონაცვლა.

1. ოზურგეთი-გენიჩესკის ურთიერთობის აღდგენა და „ალეგროს“ დღესასწაულზე უკრაინული დელეგაციის ვიზიტი ოზურგეთში

წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ, საბჭოს მხცოვანმა წევრებმა კონსტანტინე შავიშვილმა და ალექსანდრე ტულუშმა გაიხსენეს გასული საუკუნის შუა წლებში მახარაძე-გენიჩესკის ურთიერთობის ისტორია და დასძინეს რომ ეს ურთიერთობა კვლავ უნდა გაგრძელდეს.

სხდომის ყველა მონაწილემ ერთხმად აღნიშნა, რომ ეს მეგობრობა სასარგებლო და მისასალმებელია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე შარაშენიძის აზრით მნიშვნელოვანია ამ ორ ქალაქს შორის ციტრუსით ვაჭრობისა და ზოგადად ეკონომიკური ურთიერთობის, ბარტერული გაცვლის წახალისება, რათქმუნდა შესაბამისი სამართლებრივი მხარის მოწესრიგებით.

გრიგოლ მახარაძემ, სხდომის თავმჯდომარემ ასევე დასძინა, რომ ქართულ ვიკიპედიაში ოზურგეთთან დამძობილებული რამდენიმე ქალაქია ნახსენები და თითოეულთან ურთიერთობა კარგად უნდა განისაზღვროს.

მიღებული გადაწყვეტილება: ორ ხსენებულ ქალაქს შორის მეგობრობის აღდგენის შემდგომ უნდა განიზაზღვროს ორივე ქალაქის თანამშრომლობის სტრატეგია და სფეროები, ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლებლობები.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინერტული მასალის კარიერული წესით მოპოვების საკითხის განხილვა

საკითხის ირგვლივ პირველი კომენტარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ გააკეთა და ისაუბრა იმ დარღვევებზე, რაც ოზურგეთის ტერიტორიაზე ინერტული მასალების მოპოვების, გადამუშავების და ზედამხედველობის კუთხით არსებობს, ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობებზე.

საკითხის შესახებ მსჯელობის პროცესს შემოუერთდა მოწვეული სტუმარი, ამ საკითხით დაინტერესებული სამოქალაქო აქტივისტი ირმა გორდელაძე და ისაუბრა მისი თაოსნობით მოქალაქეთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ შემხვედრ ქმედებებზე. მოიყვანა დარღვევის კონკრეტული მაგალითები, მათ შორის მოქმედ კარიერებზე არსებული ყადაღები, ოპერირებაზე გაუცემელი ლიცენზიები და ნებართვები. სწორედ მისი თაოსნობით არის ჩატარებული ინსპექტირება, რომლის პასუხიც უახლოეს დღეებში იქნება.

განხილვის პროცესში შეკითხვები დასვეს სხდომის წევრებმა საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით. ასევე სხდომის წევრმა ზვიად ერაძემ წამოაყენა წინადადება მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც შეისწავლის ამ სფეროში არსებულ საკანონმდებლო ბაზას და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებებს შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა დააყენა წიაღისეულის ინვენტარიზაციის საჭიროებისა და სასწორის შესყიდვის შესახებ, რათა მოხდეს წიაღისეულით დატვირთული მანქანების წონის კონტროლი. მერმა გამოთქვა მზაობა, რომ მზად არის უზრუნველყოს სასწორის შეძენა.

სხდომის წევრმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგრძნობლად ზიანდება გზის საფარი სწორედ ზედმეტად დატვირთული მანქანების გადაადგილების გამო.

მიღებული გადაწყვეტილება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართოს საპატრულო პოლიციის შესაბამის დეპარტამენტს ინერტული მასალით დატვირთული მანქანების აწონვისთვის საჭირო დანადგარის (სასწორი) განთავსებისა და ექსპლოატაციის შესახებ.

3. ქალაქის სივრცითი მოწყობის დოკუმენტის, ე.წ. გენგეგმის საჭიროების საკითხის განხილვა

საკითხის განხილვის დასაწყისში სხდომისა და საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ მახარაძემ წევრებს შეახსენა იმ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რაც ითვალისწინებს ყველა მუნიციპალიტეტისთვის მუნიციპალურ დონეზე გენგეგმის აუცილებლობის შესახებ 2028 წლამდე პერიოდისათვის.

მერმა შესავალშივე აღნიშნა, რომ ამ პროცესის დაწყებას ხელს უშლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაურეგისტრირებელი მიწა, შენობა-ნაგებობები, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობები (სხვადასხვა კომპანიის საკუთრება - წყლის, დენისა და ბუნებრივი აირის მომწოდებელი).

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სწორედ ზემოთხსენებულიდან გამომდინარე აღნიშნული პროცესის მთლიანი ჯაჭვის შესრულება ძალიან ძვირი ჯდება და ასევე დიდ კომპეტენციას მოიცავს. არაკომპეტენტური გეგმა საფუძველშივე თაროზე შემოდებისთვის იქნება განწირული და მისი განხორციელების შესაძლებლობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მონაწილეების მოსაზრებით, გამომდინარე იქედან, რომ თავად გენგემა მრავალი კომპონენტისგან შედგება დავიწყით შედარებით მარტივი კომპონენტით და ეტაპობრივად იმ საკითხების მოწესრიგების შემდგომ, რაც საფუძვლად უნდა დაედოს გენგემას 2028 წლამდე მივიდეთ მის საბოლოო ვერსიამდე.


მიღებული გადაწყვეტილება: დაიწყოს გენგემაზე მუშაობა და მერიის მიერ ტექნიკურ დავალებაში დაკონკრეტდეს პირველი ეტაპის ღონისძიებები: ქალაქ ოზურგეთის გეოგრაფიული განვითარება და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზონირება. ეს საშუალებას მოგვცემს გენგემის შედარებით მარტივი კომპონენტის ამსახველი დოკუმენტის მომზადება 2020 წლისთვის დაიწყოს.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ სხდომის მონაწილემ, პედაგოგმა ხათუნა თოიძემ ქალაქ ოზურგეთის შიგნით საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ არსებობაზე ისაუბრა, რათ ხანდაზმულ მოქალაქეთა ფეხით გადაადგილების პრობლემას ქმნის. მერმა აღნიშნულს უპასუხა და მოკლედ ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის დოტაციაზე ყოფნის სირთულეების შესახებ.

სხდომა დახურულად გამოცხადდა და შემდგომი სხდომა ნოემბრის თვეში შედგება. თარიღის შესახებ წევრებს ელექტრონული ფოსტისა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.

სხდომის თავმჯდომარე

გრიგოლ მახარაძე



სხდომის მდივანი

თამარ ლლონტი

